

**ქართული ტყვეები სტამბოლის ბაზარზე –
ისტორიული მსოფლმხედველობის
მორალიზატორული ასპექტები
ქართულ ლიტერატურაში**

**GEORGIAN CAPTIVES AT ISTANBUL MARKET –
THE MORALIZING ASPECTS
OF HISTORICAL WORLDVIEW
IN GEORGIAN LITERATURE**

ნინო მამარდაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Nino Mamardashvili

Georgian Technical University
Tbilisi, Georgia

აბსტრაქტი

ფეოდალური საქართველოს ერთი თვალსაჩინო და მძიმე მოვლენაა ქართველ ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა. ეს მოუშუშებელი ტკივილი, სამარცხვინო სენი, აფიქრებდა ქართველ მწერლებს. ქართულ კლასიკურ მწერლობაში პირველმა იოანე ბატონიშვილმა „კალმასობაში“ (1813-1828) ხმა აიმაღლა ამ მახინჯი მოვლენის წინააღმდეგ. ალ. ორბელიანის ისტორიული პოემა „კეთილი ბერიკაცი“ (1852) ამ თემას ეხმაურება. ილია ჭავჭავაძის „იანიჩარი“ (1860), აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“ (1896), უიარაღოს „მამელუკი“ (1912) უსამშობლოდ დარჩენილი ადამიანების ტრაგედიის მხატვრულ ხორცშესხმას წარმოადგენენ.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა ხელს უწყობდა ადამიანთა ტაცებასა და ყიდვა-გაყიდვას. დასავლეთ საქართველო, რომელიც შავ ზღვას ესაზღვრებოდა, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გარეშე მტერთა თარეშისა და შინაომების ასპარეზად იქცა. ტყვეებით ვაჭრობამ განსაკუთრებით მძიმე სახე მიიღო XVIII საუკუნიდან. საქართველოში ადამიანთა ვაჭრობის ფაქტის შესახებ მრავალი ისტორიული წყარო მიუთითებს. ცნობები მრავლად არის წარმოდგენილი კათოლიკე მისიონერთა და მოგზურთა თხზულებებში.

ანაკლიიდან სტამბოლამდე მიმავალი გზა უბედურების მომტანად იქცა ქართველებისთვის. ისტორიულმა რეალობამ დიდი დაღი დაასვა ქართულ მსოფლმხედველობას. ქართულმა ლიტერატურამ ისტორიული

მოვლენების ამგვარ განვითარებას მორალიზატორული ასპექტით უპასუხა. მხატვრულ ტექსტებში ტყვეთა გამყიდველების დაცემული ზნეობაა მხილებული. გადმოცემულია გულისტკივილი და წუხილი სამშობლოსათვის დაკარგული, სხვისი ქვეყნის სამსახურში ჩამდგარი ქართველი ჭაბუკების გამო („იანიჩარი“, „მამელუკი“). მაგალითის მიმცემად და ზნეობრიობის გამომხატველ პერსონაჟებად არიან წარმოდგენილი სასულიერო პირები: მღვდელი მარკოზი („მამელუკი“), ბერი იოანე („კალმასობა“). ნათლად ჩანს, თუ რა ფუნქცია უნდა ჰქონოდა სარწმუნოებას ჯანსაღი ურთიერთობის აღდგენაში. ღიად ისმის მოწოდება სინანულისა და სიკეთისაკენ. მოქალაქეობრივი შეგნებისა და დიდი სულიერების მატარებელ პიროვნებად არიან წარმოჩენილი ქართველი ქალები, მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა („ბაში-აჩუკი“, „მამელუკი“).

ფეოდალური არისტოკრატის გაუტანლობასა და ვერაგობას უპირისპირდება მაღალი ზნეობა და თავდადება.

ისტორიულად უაღრესად მძიმე მოვლენის მორალიზატორულ ასპექტში წარმოჩენამ ხელი შეუწყო ქართულ საზოგადოებაში გაბატონებული ეროვნული ნიჰილიზმის შესუსტებას.

საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა. ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა, სტამბოლის ბაზარი.

ABSTRACT

One of the most striking and tragic phenomena of feudal Georgia was the practice of buying and selling Georgian captives. This unhealed wound, perceived as a shameful affliction, weighed heavily on the minds of Georgian writers. In classical Georgian literature, the first to raise his voice against this ugly practice was Prince Ioane Bagrationi in his work *Kalmasoba* (1813–1828). Alexander Orbeliani's historical poem *The Kind Old Man* (1852) also addresses this topic. Ilia Chavchavadze's *the Janissary* (1860), Akaki Tsereteli's *Bashi-Achuki* (1896) and Uiaragho's *the Mamluk* (1912) artistically depict the tragedy of those left without a homeland.

Georgia's geopolitical situation facilitated the abduction and trade of human beings. Western Georgia, bordering the Black Sea, served for centuries as an arena for foreign incursions and internal conflicts. The trade in captives became particularly widespread and brutal from the eighteenth century onward. Numerous historical sources attest to the prevalence of human trafficking in Georgia, with extensive documentation preserved in the accounts of Catholic missionaries and travelers.

The route from Anaklia to Istanbul became a path of misfortune for Georgians, leaving a profound imprint on the national worldview. Georgian literature reflected upon these historical events through a moralizing perspective. In literary texts, the moral degradation of those who traded captives is unmasked, while the sorrow and grief for young Georgians lost to their homeland and forced into foreign service (*The Janissary*, *The Mamluk*) find poignant artistic expression. Clerics—Father Markoz in *The Mamluk* and Monk Ioane in *Kalmasoba*—are portrayed as exemplars of virtue

and moral guidance. Religion is presented as a necessary force for the restoration of humane relationships, and the call to repentance and moral goodness is explicit. Georgian women, regardless of social standing, are depicted as figures of civic consciousness and profound spirituality (*Bashi-Achuki, The Mamluk*).

The unbearable cruelty and treachery of the feudal aristocracy are countered by moral integrity and self-sacrifice.

Portraying this profoundly painful historical experience through a moralizing lens served to diminish the prevailing national nihilism within Georgian society.

Keywords: Georgian literature, trade of captives, Istanbul market.

შესავალი

ფეოდალური საქართველოს ერთი თვალსაჩინო და მძიმე მოვლენაა ქართველ ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა. ეს მოუშუშებელი ტკივილი, სამარცხვინო სენი, აფიქრებდა ქართველ მწერლებს. ქართულ კლასიკურ მწერლობაში პირველმა იოანე ბატონიშვილმა „კალმასობაში“ (1813-1828) ხმა აიმაღლა ამ მახინჯი მოვლენის წინააღმდეგ. ალ. ორბელიანის ისტორიული პოემა „კეთილი ბერიკაცი“ (1852) ამ თემას ეხმაურება. ილია ჭავჭავაძის „იანიჩარი“ (1860), აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“ (1896), უიარაღოს „მამელუკი“ (1912) უსამშობლოდ დარჩენილი ადამიანების ტრაგედიის მხატვრულ ხორცშესხმას წარმოადგენენ. ისტორიის მძიმე ფურცლები, როგორც ერის მეხსიერება, მტკივნეული თემაა, მაგრამ გვერდს ვერ ვუვლით. ამ თემას ეხება დავით გურამიშვილი „დავითიანში“, ანტონ ფურცელაძე „მაცი ხვითიანში“. ტრაგიკულ მოვლენას - ხალხი, რომელიც თავის სისხლსა და ხორცს სტამბოლის ბაზარზე ყიდის, ასახავს ჯემალ ქარჩხაძის „ანტონიო და დავითი“. ეს მხოლოდ არასრული ჩამონათვალია ავტორთა მხატვრული ტექსტებისა, რომლებშიც აისახა ეს სამარცხვინო ფურცელი საქართველოს ისტორიისა. ამ მოვლენამ ღრმა კვალი დატოვა ქართულ ფოლკლორსა და მწერლობაში, სადაც ტყვეობის სურათი არა მხოლოდ ისტორიულ ფაქტად, არამედ მორალურ-ფილოსოფიური შეფასების სახით არის წარმოდგენილი.

სტატიაში განვიხილავთ ჩამოთვლილ ავტორთა ნაწარმოებების მხოლოდ ერთ ნაწილს.

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია ისტორიულ-მედარებითი მეთოდი, კონცეპტუალური ინტერპრეტაციის მეთოდი, ანალიტიკური ფსიქოლოგიური მეთოდი, რომლის საშუალებითაც ვსაზღვრავთ ტრამვირებულ პერსონაჟთა ქმედებებს. კრიტიკული ანალიზის გზით ვაყალიბებთ კვლევის საბოლოო შედეგებს.

მსჯელობა

საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა ხელს უწყობდა ადამიანთა ყიდვა-გაყიდვას. დასავლეთ საქართველო, რომელიც შავ ზღვას ესაზღვრება, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გარეშე მტერთა თარეშისა

და შინაომების ასპარეზად იქცა. ტყვეებით ვაჭრობამ განსაკუთრებით მძიმე სახე მიიღო XVIII საუკუნიდან. საქართველოში ადამიანთა ვაჭრობის ფაქტის შესახებ მრავალი ისტორიული წყარო მიუთითებს. ცნობები მრავლად არის წარმოდგენილი კათოლიკე მისიონერთა და მოგზაურთა თხზულებებში.

ანაკლიიდან სტამბოლამდე მიმავალი გზა უბედურების მომტანად იქცა ქართველებისთვის. ისტორიულმა რეალობამ დიდი დაღი დაასვა ქართულ მსოფლმხედველობას. ქართულმა ლიტერატურამ ისტორიული მოვლენების ამგვარ განვითარებას მორალიზატორული ასპექტით უპასუხა.

როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა დროს ქვეყნდებოდამაფრიეროვნული სულისკვეთებით ანთებული ნაწარმოებები, რომლის ისტორიული ფონი სავსეა დოკუმენტური მასალით და რეალური პროტოტიპებით.

ეროვნული ცნობიერებისა და ისტორიული მსოფლმხედველობის გამომხატველ ნაწარმოებთა შორის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კლასიკად ქცეული მოთხრობა „მამელუკი“.

„მამელუკის გამოსვლა ემთხვევა სიმბოლიზმის ეპოქას. ეს ის პერიოდია, როდესაც ლექსი ჩაგრავს პროზას. კონდრატე თათარაშვილი კი ირჩევს ტრადიციულ ჟანრს – ისტორიულ მოთხრობას.

საყურადღებოა „მამელუკის“ ძირითადი თემა – ქართველ ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა. ეს მოუშუშებელი ტკივილი, სამარცხვინო სენი, როგორც ჩანს, მწერლის სხვა ნაწარმოებებიდან, დიდხანს აფიქრებდა უიარაღოს. მოთხრობაში „მშვიდობით“, რომელიც 1895 წელს გამოქვეყნდა, ვკითხულობთ: „ის ოჯახდასაქცევი თურქები მეტს კი იძლეოდნენ კაცის სულზე, სულგანათებული პაპაჩემი იტყოდა, როცა რამდენიმე ქალს დავიჭერდით და მოვიყვანდით, ჯერ მტკავლით დაზომავდნენო და თითო მტკაველზე ან მანეთს მამლევდნენო, ისე რომ მოეცათ, ახლა ხომ სულ ავშენდებოდი“ (უიარაღო 1957: 139).

ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა, ფეოდალური საქართველოს ერთი თვალსაჩინო და მტკივნეული სენი, აირჩია კ. თათარიშვილმა თავისი მოთხრობის ძირითად თემად. აკად. ნიკო ბერძენიშვილის განმარტებით: „ტყვის სყიდვა კლასობრივი ბრძოლის ყველაზე მახინჯი და ველური ფორმა იყო საშუალო საუკუნეების საქართველოში და ეს მოვლენა ღრმა ეკონომიკურ და სოციალურ საფუძველს ემყარება“ (ბერძენიშვილი 1973: 170-172).

საქართველოში ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის აღმოცენებისა და განვითარების ისტორიაში მკვლევარი ვ. გაბაშვილი ორ პერიოდს გამოყოფს: „XIV-XV და XVI-XVII საუკუნეებს. პირველ პერიოდში ტყვის ყიდვის საწყისთან გვაქვს საქმე, მეორე შემთხვევაში, – შენიშნავს მეცნიერი, – ტყვის სყიდვაში იგულისხმება ადგილობრივი მწარმოებლის (ქართული წყაროებით „კაცის“) უცხოეთში გაყიდვა, მისი მეურნეობიდან მოწყვეტა, ტყვედ წაყვანა და დაპატიმრება, როგორც მონობის თავისებური ფორმა, თან გასდევს შუა საუკუნეების მთელ მანძილზე“ (გაბაშვილი 1983: 29-40).

დასავლეთ საქართველოში არსებობდა ტერმინებიც კი, რომლებითაც აღინიშნებოდა ტყვეების მომტაცებელ-გამყიდველები და მყიდველები. იმას, ვინც ტყვეს იტაცებდა და ყიდდა, „ყურსალი“ ეწოდებოდა, იმას კი, ვინც ტყვეს ყიდულობდა – „იესირჯი“.

მაჰმადიანურ გარემოცვაში მოქცეულ, დანაწევრებულ ქვეყანას, მტრის განუწყვეტელ შემოსევებთან ერთად, მეზობელი ტომების პერმანენტული თავდასხმებიც ემატებოდა, გავიხსენოთ „ლეკიანობა“.

ხრესილის ომში გამარჯვების შემდეგ, 1757 წელს, იმერთა სახელოვანმა მეფე სოლომონ პირველმა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო პირთა, საერო ფეოდალების საგანგებო კრებაზე მიიღო კანონი ტყვეების ყიდვის აკრძალვის შესახებ. ამ კანონმა ნაწილობრივ შეამსუბუქა საერთო მდგომარეობა, თუმცა ეს სენი არ აღმოფხვრილა.

„მამელუკის“ ავტორი უიარაღო კარგად იცნობდა ისტორიულ წყაროებს, მაგრამ უმნიშვნელოვანესია ის ფაქტი, რომ იგი ეყრდნობოდა ცოცხალ მაგალითებს, რომლებიც მრავლად ჰქონდა შეკრებილი სამეგრელოში, სადაც ჯერ კიდევ ახსოვდათ მწარე სინამდვილე.

მწერლის ბიძა, იესე თათარიშვილი, 12 წლის ასაკში გაიტაცეს და თურქ სოვდაგრებს მიჰყიდეს. ბავშვი ორჯერ გაპარულა, მღვიმეშიც დამალულა, მაგრამ უნახავთ. გემიდან ორჯერ ნდომია ზღვაში გადახტომა, მაგრამ ვერ მოუხერხებია და სტამბოლის ბაზარზე გაუყვანიათ გასაყიდად. ვაჭრობაში გართულ მეპატრონეს გაპარვია და რუსეთის საელჩოში მისულა. ელჩს აფხაზი ოფიცრის თანხლებით საქართველოში დაუბრუნებია.

კონდრატი თათარიშვილის მოთხრობა მრავალმხრივაა საყურადღებო. უპირველესად, საინტერესოა ავტორის დამოკიდებულება ისტორიული სინამდვილისადმი. უიარაღო ამ თხზულებით მკაცრი მემკვიდრის როლში გვევლინება, რითაც უპირისპირდება XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებასა და მხატვრულ ნაწარმოებებში გაბატონებულ პრინციპს, ისტორიული წარსულის ასახვისას რომანტიზირებასა და იდეალიზაციას რომ ისახავს მიზნად.

პირველმა ნიკო ლორთქიფანიძემ შეძლო XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში ახლებური, განსხვავებული მიდგომა გამოეყვინა წარსულისადმი.

უიარაღო წარსულიდან წარმოაჩენს იმ მიზეზებს, რომელიც ხელს უწყობს ერის დაცემას, მაღალი მორალური ნორმების რღვევას, ეროვნული იდეალების ნაცვლად ეგოისტური ზრახვების მომძლავრებას.

„მამელუკის“ სიუჟეტის გაშლა ისტორიულ ოდიშში იწყება. ამ მშვენიერი მხარისთვის შავი ზღვა და ანაკლიის პორტი უბედურების მომტანად ქცეულა. აქედან გაჰყავდათ ქართველი ტყვეები აღმოსავლეთის ბაზარზე გასაყიდად.

ტიციან ტაბიძე წერს: „ანაკლიის პორტის ზევით, ენგურის შესართავთან, აქამდე ჩანს ციხე „სატანჯიო“, ეს იყო უმთავრესი სტრატეგიული პუნქტი გლეხებზე სანადიროდ და მონებით დატვირთული გემების რეზერვუარით, აქამდე თითქოს ისმის შავი ზღვის სანაპიროზე, ანაკლიასთან ოსმალეთსა და ეგვიპტეში გასაყიდად გამზადებული ქალ-ვაჟთა ქვითინი, გულწასული დედების შეცხადება და ზარი“ (ტაბიძე 1985: 617).

უიარაღო მოთხრობაში ანაკლიის პორტი ფოთით შეცვალა, მდინარე ენგური – ტეხურით. „მამელუკში“ მოქმედება ვითარდება XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში.

ეს ის დრო იყო, როცა კანონი სდევნიდა მონობით ვაჭრობას და ამიტომაც საკმაოდ ფრთხილობდნენ ავაზაკები. გატაცებული ბიჭი ხვიჩა თავად

გიორგი ჭოროშვილის სასახლეში მიიყვანეს, თავადის ვაჟი ალექსანდრე ადამიანებით ვაჭრობდა. ხვიჩას ოჯახის ქალბატონის, როდამის ჩარევით დაიხსნის მღვდელი მაროზ დაბაძე. იგი დაუნდობლად ებრძოდა ამ სამარცხვინო სენს. მღვდელმა სახლში წაიყვანა ხვიჩა, წერა-კითხვა ასწავლა და თავის სოფელში დაბრუნებას დაჰპირდა, მაგრამ მარკოზი თავად ალექსანდრეს დამქაშებმა მოკლეს, ხვიჩა გაიტაცეს და ოსმალეთში გაყიდეს.

უიარაღო ოსტატურად შლის მოთხრობის ფაბულას. განსაკუთრებით აღსანიშნავია გემით მოგზაურობა ფოთიდან სტამბოლამდე. ბიჭი გემზე გაიცნობს ქართველ ტყვეებს – სალომესა და რეზოს. ახალგაზრდები ცდილობენ ხვიჩას მდგომარეობა შეუმსუბუქონ.

ქართველი ტყვეები ალი უსუფმა სტამბოლის ბაზარზე მიიყვანა გასაყიდად. რეზო, სალომე და ხვიჩა ერთმანეთს დააშორეს. ღონიერი, მარდი, ჯანსაღი ბიჭი მდიდარმა სოფდაგარმა, ადამიანებით მოვაჭრე, მთელ სტამბოლში ცნობილმა ჰუსეინ-ალამ შეისყიდა და ეგვიპტეში წაიყვანა. რეზო და სალომე ანდრიანოპოლელმა ვაჭარმა იყიდა.

ჰუსეინ ალამ ხვიჩა – მახმუტი მამელუკთა სახელოვან სარდლად აქცია.

ურთულესია გაყიდული ადამიანების ხვედრი – სხვადაცეული, ტრაგიკული ადამიანებისა, უკუღმართმა ბედმა მშობელ ქვეყანას რომ მოაშორა და ვინ იცის, სამშობლოსთვის დასაღვრელი სისხლი ვის ბრძოლაში დაიღვარა.

მოთხრობაში ყურადღებას იპყრობს მღვდელი მარკოზ დარბაიძე, – მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და დიდი სულიერების მატარებელი პიროვნება. იგი დაუძინებელი მტერი იყო ყოველგვარი ძალმომრეობისა. მისი მსოფლმხედველობა, წმინდა წერილთან ერთად, ნასაზრდოებია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით“.

მარკოზი მარჯვედ სარგებლობდა თავისი მდგომარეობით და არაერთხელ უხსნია გასაყიდად განწირული ადამიანი. მას დიდი გავლენა ჰქონდა თავად ალექსანდრეს დედაზე, კნეინა როდამზე. სწორედ მისი მეშვეობით დროებით იხსნა მღვდელმა პატარა ხვიჩა, მაგრამ საბოლოოდ ვერ გადაარჩინა და თვითონაც ავაზაკების მსხვერპლი გახდა.

ტიციან ტაბიძე მიიჩნევს, რომ მარკოზ ხუცესის მხატვრული სახე „კალმასობის“ ბერი იოანეს გავლენით უნდა იყოს შექმნილი.

ნაწარმოებში გადმოცემული ისტორიული მოვლენები მორალიზატორულია. როგორც მკვლევარი გურამ კანკავა აღნიშნავს: „საზოგადოების ბედ-იღბალს წყვეტს ცალკეულ პიროვნებათა ეთიკურ-ხნეობრივი ნორმები“ (კანკავა 1964: 181).

მოთხრობის ფინალში ავტორი ხვიჩა-მახმუტს თავის წარსულს მშობლიური ენის ორიოდ სიტყვის საშუალებით ახსენებს. სასიკვდილოდ დაჭრილი ვენეციელის ნათქვამმა „ვაი ნანამ“ ხვიჩა-მახმუტი ისევ ქართველად აქცია და მოაგონა „ბავშვობა, გაახსენა სახლ-კარი, დედ-მამა, ძმები, მარკოზ ხუცესი, სალომე, რეზო... ტყით შემოსილი სერები და მათ შორის შხუილით ჩამომდინარე ანკარა ტეხურა... ცხარედ მყეფარი ძაღლი აშგერია და რქამოღუნული ვაცი ოჩაგა“ (უიარაღო 1957: 157). როგორც ვნახეთ, მწერალმა მშობლიურ ენას დააკისრა ის ფუნქცია, რამაც ხვიჩა-მახმუტს დავიწყებული წარსული გაახსენა. მწერალს ღრმად ჰქონდა შეგნებული ენის როლი ადამიანის აზროვნებასა და ცნობიერებაში.

სტამბოლის ბაზარზე გაყვანილი ქართველი ტყვეების თემა ქართულ ლიტერატურაში მხოლოდ ისტორიული ამბავი კი არ არის, არამედ ზნეობრივი კოდის ნაწილადაა ქცეული. როდესაც დავით გურამიშვილი „დავითიანში“ ზოგიერთ ეპიზოდში აღწერს გატაცების ამბავს, მძაფრად წარმოჩნდება მონობის სიმძიმე და სულიერი განსაცდელი, თუმცა ფიზიკური ტყვეობა პოეტის სულიერი თავისუფლების ჩახშობას ვერ ახერხებს. ავტორი თავის ტანჯვას აქცევს ეროვნული გამძლეობის სიმბოლოდ, რაც მკითხველს უბიძგებს შინაგანი სიძლიერის შენარჩუნებისკენ. ეს არის მორალური გამარჯვების იდეა. ტყვეობა არის სულიერი მდგომარეობა.

აკაკი წერეთელმა „ბაში-აჩუკში“ მორალიზატორული ასპექტით დაგვანახა – სამშობლოს დატოვება და იძულებითი ქორწინება უცხო მიწაზე არა მხოლოდ პიროვნული ტრაგედიაა, არამედ ეროვნული დანაკლისის სიმბოლო. მორალიზატორული ელემენტი ემოციურ დრამაშია ჩაქსოვილი – ქალს ურჩევნია სიცოცხლე გასწიროს, ვიდრე სამშობლოდან გადახვეწილმა მტრის გარემოცვაში უზრუნველად იცხოვროს.

ლიტერატურაში ასახული საქართველოს ტკივილიანი ისტორია თანამედროვე ქართველ მწერალთა მხატვრულ ტექსტებშიც გვხვდება. ჯემალ ქარჩხაძის „ანტონიო და დავითი“ ამის მაგალითია.

რომანში მოქმედება ვითარდება შუა საუკუნეების საქართველოში. მთხრობლად გვევლინება იტალიელი მოგზაური ბართლომეო დ'ანიტი. იგი დასავლეთ საქართველოში ევროპელ მისიონერებთან ერთად არის ჩამოსული. ბართლომეომ გემზე გაიცნო მისიონერი ანტონიო დ'ანიტი, რომელსაც პაპის წინააღმდეგ წასვლის გამო ერეტიკოსობაში ადანაშაულებდნენ. მოგვიანებით კი ეს სასჯელი მოუხსნეს და სხვა საეკლესიო პირებთან ერთად საქართველოში გამოაგზავნეს. ანტონიო და ბართლომეო დამეგობრდნენ. ისინი იმერეთის ერთ-ერთ სოფელში თავადის ოჯახს შეეკედლებიან და შეუდგებიან მოღვაწეობას. სწორედ აქ გაიგებენ ადგილობრივი გლეხებისგან ერთი ციხე-სიმაგრის ისტორიას. ამ სოფელში დიდი ხნის წინ ერთი მოახლე დაფეხმძიმდა, გაჩნდა ბავშვი, რომელსაც დავითი დაარქვეს. განიზრახეს მისი მოშორება და სტამბოლში გაყიდეს. დავითმა მოახერხა განთავისუფლება და სამშობლოში დაბრუნდა. თან წამოიყვანა თურქები და თავად დაიწყო ბავშვებით ვაჭრობა. თავადს, რომელსაც მისი ნახევარდა ჰყავდა ცოლად, ემუქრებოდა და მისგან დუმისს ითხოვდა. ანტონიოს წინააღმდეგობის მიუხედავად, განიზრახეს დავითის დაჭერა, თუმცა მისი მცდელობა იმით დასრულდა, რომ სოფელს დაეკისრა სამი ტყვის მიყვანა, ორი ახალგაზრდისა და მღვდლის. ანტონიომ და ბართლომეომ ოქროს ფასად გამოისყიდეს ტყვეები, დავითი კი დაარწმუნეს თავის არასწორ საქციელში. მან მოინანია ცოდვები, წავიდა სტამბოლში და ტყვეები გამოისყიდა. ხალხმა ეკლესიასთან მლოცველი დავითის ჩაქოლვა მოისურვა, თუმცა ანტონიომ და ბართლომეომ იგი გადაარჩინეს. ამის შემდეგ ხალხის რისხვას ვერც ანტონიომ აარიდა თავი. მათ თავადმა მთავართან უჩივლა.

დავითის დაცვის გამო ანტონიოს პირობა დაუდეს, ან თავს საწამლავით მოიკლავდა, ან იტალიაში კოცონზე დაწვავდნენ. მან დაბრუნება აირჩია. დილეგში დამწყვდეული დავითი გაიქცა და ანტონიოს განთავისუფლება

განიზრახა. ანტონიომ კი, იმის გამო, რომ დავითი ახალი საფრთხისგან დაეცვა, თავი მოიკლა. დავითმა შური იძია – თავადი და ცრუ მღვდელი მონებად გაყიდა სტამბოლში.

ისტორიული რეალობის ფონზე განვითარდა მძაფრი დრამა. როგორ იხსნას ადამიანმა სული ამგვარ ისტორიულ რეალობაში? პიროვნული პასუხისმგებლობა აქვს ადამიანსაც და ერსაც. ეს პასუხისმგებლობა გაცნობიერებულია და ამიტომაც აისახა ასე მძაფრად ლიტერატურაში. ფოლკლორული სიმღერები, პოეზია და მემუარები ერთხმად გვახსენებენ: თავისუფლება არის ღირებულება, რომლის დაკარგვა სულიერ სიკვდილს უტოლდება.

დასკვნა

ქართულ ლიტერატურაში ისტორიული მსოფლმხედველობის მორალიზატორული ასპექტები ორი უმნიშვნელოვანესი მიმართულებით არის წარმოჩენილი: 1. ეროვნული ღირსების მორალიზაცია, 2. სულიერი სიმტკიცე და რწმენა.

მხატვრულ ტექსტებში ტყვეთა გამყიდველების დაცემული ზნეობაა მხილებული. გადმოცემულია გულისტკივილი და წუხილი სამშობლოსთვის დაკარგული, სხვისი ქვეყნის სამსახურში ჩამდგარი ქართველი ჭაბუკების გამო („იანიჩარი“, „მამელუკი“). მაგალითის მიმცემად და ზნეობრიობის გამომხატველ პერსონაჟებად არიან წარმოდგენილი სასულიერო პირები: მღვდელი მარკოზი („მამელუკი“), ბერი იოანე („კალმასობა“). ნათლად ჩანს, თუ რა ფუნქცია უნდა ჰქონოდა სარწმუნოებას ჯანსაღი ურთიერთობის აღდგენაში. ღიად ისმის მოწოდება სინანულისა და სიკეთისაკენ. მოქალაქეობრივი შეგნების და დიდი სულიერების მატარებელ პიროვნებად არიან წარმოდგენილი ქართველი ქალები, მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა („ბაში-აჩუკი“, „მამელუკი“). ფეოდალური არისტოკრატის გაუტანლობასა და ვერაგობას უპირისპირდება მაღალი ზნეობა და თავდადება.

ტყვეობის სიუჟეტი გამოიყენება იმის საჩვენებლად, რომ სამშობლოს დაცვა, ერთიანობა და ეროვნული სულის შენარჩუნება უმთავრესი ღირებულებაა. ქართველი ტყვეები ან გმირულად იღუპებიან, ან თავისუფლებისკენ მიისწრაფიან. მონობის სურათი მკითხველისთვის არის მორალური გაფრთხილება. უმეტესად ქართველი ტყვე რწმენას არ ღალატობს, მიუხედავად ძალადობრივი გარემოებისა. ეს გამოკვეთს მორალურ გამძლეობას, როგორც ეროვნული ხასიათის ერთ-ერთ საფუძველს.

ისტორიულ ფაქტს – ტყვეთა ყიდვა-გაყიდვას ავტორები იყენებენ მორალიზატორული ასპექტების მძაფრად წარმოსაჩენად. მოქალაქემ უნდა დაიცვას სამშობლო და იბრძოდეს მისი ერთიანობისათვის, ზნეობრიობის კუთხით - გაუფრთხილდეს ღირსებას, თავისუფლებას და სულიერ ფესვებს. წარსულის ტრაგიკული ფურცლები უნდა იყოს მომავლისათვის გაკვეთილი.

მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით ეს თემა წარსულის ტრავმით დაღდასმულ ქვეყანაში ამძაფრებს ისტორიულ-პოლიტიურ თვითშეგნებას.

ლიტერატურა აქ ასრულებს კოლექტიური მეხსიერების როლს – ტყვეობის სურათი ისტორიული ტრავმის სიმბოლოდ რჩება.

უაღრესად მძიმე მოვლენის მორალიზატორული ასპექტით წარმოჩენამ ხელი შეუწყო ქართულ საზოგადოებაში გაბატონებული ეროვნული ნიჰილიზმის შესუსტებას.

გამოყენებული ლიტერატურა

ბაქრაძე 1999: ბაქრაძე აკ., კარდუ (გრიგოლ რობაქიძე). თბილისი, 1999.

ბერძენიშვილი 1973: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. VI. თბილისი, 1973.

გაბაშვილი 1983: გაბაშვილი ვ., ტყვის სყიდვა შუა საუკუნეების ევროპაში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, №4, 1983.

კანკავა 1964: კანკავა გ., ლიტერატურული ეტიუდები. თბილისი, 1964.

მამარდაშვილი 2005: მამარდაშვილი ნ., მამელუკი და მისი ავტორი. თბილისი, 2005.

ტაბიძე 1989: ტაბიძე ტ., ლექსები, პოემები, პროზა, წერილები. თბილისი, 1989.

ტენი 1989: ტენი ი., ხელოვნების ფილოსოფია. თბილისი, 1989.

Reference

Bakradze 1999: Bakradze Ak., Cardu (Grigol Robakidze). Tbilisi, 1999.

Berdzenishvili 1973: Berdzenishvili N., Essays on the History of Georgia. Vol. VI. Tbilisi, 1973.

Gabashvili 1983: Gabashvili V., Buying Lead in Medieval Europe. “Matsne” of the Academy of Sciences of the Georgian SSR, №4, 1983.

Kankava 1964: Kankava G., Literary Etudes. Tbilisi, 1964.

Mamardashvili 2005: Mamardashvili N., Mameluki and its Author. Tbilisi, 2005.

Tabidze 1989: Tabidze T., Poems, Poems, Prose, Letters. Tbilisi, 1989.

Tenni 1989: Tenni YP., Philosophy of Art. Tbilisi, 1989.